

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის

გ ე ო გ რ ა ფ ი ა

თბილისი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
ერთიანი ეროვნული გამოცდის პროგრამა გეოგრაფიაში	4-7
დავალების ტიპების აღწერა.....	8-9
ტესტის ნიმუში.....	10-47
შეფასების სქემა.....	48-57

შესავალი

კრებული შედგენილია მათთვის, ვინც 2023 წელს აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდას გეოგრაფიაში. კრებულში მოცემულია საგამოცდო პროგრამა, ტესტის დავალებათა აღწერილობა, 2022 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე გამოყენებული ტესტი და შეფასების სქემა.

2023 წლის საგამოცდო პროგრამაში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები (იხ. საგამოცდო პროგრამა). ტესტის მაქსიმალური ქულაა - 59, ხოლო ტესტირებისთვის განკუთვნილი დრო - 2 საათი და 40 წუთი.

აბიტურიენტებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ თითოეული ტესტის დავალების ინსტრუქცია, მაქსიმალური სიზუსტით დაიცვან დავალებათა სწორად შესრულების ტექნიკური და შინაარსობრივი მოთხოვნები.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დახმარებას გაგიწევთ 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის მომზადების პროცესში.

საგამოცდო ტესტში არ გამეორდება კრებულში მოცემული არც ერთი დავალება.

გ ი ს უ რ ვ ე ბ თ წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ს!

საგამოცდო კრებულები წარმოადგენს ცენტრის საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით გავრცელება (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე. იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გეოგრაფიის გამოცდის პროგრამა

2023 წელი

გეოგრაფიის გამოცდაზე მოწმდება შემდეგი უნარები:

- სივრცეში ორიენტირება;
- ინფორმაციის ორგანიზება;
- თვალსაჩინოებების გამოყენება, შექმნა და ანალიზი;
- გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების დადგენა;
- საზოგადოებრივი პრობლემის გააზრება და სხვადასხვა საკითხს შორის კავშირების დადგენა.

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
<i>1. გეოგრაფიის შესავალი</i>	
გეოგრაფიის მეცნიერების შესავალი, სტრუქტურა და კვლევის საგანი	<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიის შესწავლის ობიექტი და მიზნები; • გეოგრაფიის მეცნიერების სტრუქტურა და ცალკეული მიმართულებების დეფინიციები; • გეოგრაფიის კვლევის მეთოდები: ტრადიციული (აღწერითი, შედარებით-გეოგრაფიული, კარტოგრაფიული) და უახლესი (მათემატიკური, აეროკოსმოსური).
რუკა და სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება	<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა ტიპის რუკები (რუკის კითხვა, ლეგენდა, მასშტაბი და მისი სახეები, ორიენტირება, გრადუსთა ბადე, გრძედი და განედი, ეკვატორი, პოლუსები, ტროპიკები და პოლარული წრეები, გეოგრაფიული კოორდინატები, აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები, საჭირო ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტაცია, ანალიზი, ამოცანების გადაჭრა); • დავალებების შესრულება სხვადასხვა ტიპის რუკის, მათ შორის ტოპოგრაფიული რუკის გამოყენებით. მოცემული ინფორმაციის სხვა სახით (განსხვავებულ ფორმატში) გამოხატვა; • სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება (ფოტო, ნახატი, სქემა, ცხრილი, გრაფიკი) გამოყენება, ინფორმაციის ანალიზი, ამოცანების გადაჭრა და მარტივი ანალოგების შექმნა; • სქემების, ცხრილების, გრაფიკებისა და დიაგრამების შექმნა; • საქართველოსა და მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ნომენკლატურა (მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები - მსოფლიო ოკეანის ნაწილები, კონტინენტები და მისი ნაწილები, რელიეფის ძირითადი ფორმები, შიდა წყლები);

	<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოები: კომპასი, თერმომეტრი, ბარომეტრი, ფლუგერი, ანემომეტრი, ჰიგრომეტრი, სეისმოგრაფი, ექოლოტი, თანამედროვე სანავიგაციო სისტემები.
2. საბუნებისმეტყველო გეოგრაფია:	
პლანეტა დედამიწა	<ul style="list-style-type: none"> • დედამიწის ფორმა და სიდიდე; • დედამიწის დღეღამური და წლიური მოძრაობა; • სასაათო ზონები და თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზი.
რელიეფი	<ul style="list-style-type: none"> • ენდოგენური და ეგზოგენური რელიეფწარმოქმნელი პროცესები, რელიეფის ფორმები და ტიპები; რელიეფის გავლენა კლიმატსა და მეურნეობაზე.
ამინდი და კლიმატი	<ul style="list-style-type: none"> • ამინდი და ამინდის კომპონენტები; • მზის რადიაცია, ჰაერის ტემპერატურა, ტემპერატურის ცვლილება განედის, აბსოლუტური სიმაღლისა და ოკეანიდან დაშორების მიხედვით; • ატმოსფერული წნევა; ჰაერის ტენიანობა; სხვადასხვა ტიპის ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (ბრიზი, მუსონი, პასატი, ფიონი); • ატმოსფერული ნალექები, მათი სახეები და გავრცელების კანონზომიერებები (წვიმა, სეტყვა, თოვლი, ნამი, თრთვილი, ჭირხლი); • კლიმატი და კლიმატწარმოქმნელი ფაქტორები, კლიმატის გავლენა ადამიანზე და მის სამეურნეო საქმიანობაზე (სოფლის მეურნეობაზე, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე).
შიდა წყლები	<ul style="list-style-type: none"> • მდინარის აუზი და მისი ნაწილები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები, ჭაობები, მიწისქვეშა წყლები (საზრდოობა და რეჟიმი, გავლენა მეურნეობაზე).
ბუნებრივი რესურსები	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი რესურსების გავრცელება, მნიშვნელობა, კლასიფიკაცია და რაციონალური გამოყენება (კლიმატური, მიწის, მზისა და ქარის რესურსები, მინერალური წყლები, სასარგებლო წიაღისეული, ბუნების დაცვა).
გლობალური გეოგრაფიული პროცესები	<ul style="list-style-type: none"> • კლიმატის გლობალური ცვლილებები; გლობალური და რეგიონალური მასშტაბის სტიქიური მოვლენები. • მდგარადი განვითარება
3. საზოგადოებრივი გეოგრაფია:	
მსოფლიოს მოსახლეობის გეოგრაფია და დემოგრაფია	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიული ვითარება ისტორიული წარსულიდან დღემდე, დემოგრაფიული მაჩვენებლები (მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობის, მოკვდავობის, მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტები), მოსახლეობის კვლავწარმოების (აღწარმოების) ტიპები და მსგავსება-განსხვავებები ქვეყნების მიხედვით, მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა; • მოსახლეობის სიმჭიდროვე, მიგრაცია (ტიპები, ფაქტორები); • განსახლების ტიპები და ურბანიზაცია.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები	<ul style="list-style-type: none"> • მნიშვნელოვანი გეოგრაფიული აღმოჩენები: მარკო პოლო, ქერისტეფორე კოლუმბი, ფერნანდო მაგელანი, ვასკო და გამა, ამერიგო ვესპუჩი, აბელ ტასმანი, ჯეიმს კუკი; • ვახუშტი ბაგრატიონი.
მსოფლიოს პოლიტიკური რუკა	<ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკური რუკის ფორმირების ეტაპები.
ქვეყნების კლასიფიკაცია	<ul style="list-style-type: none"> • მმართველობის ფორმისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით; • სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი, მშპ).
საერთაშორისო ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> • გაერო (სპეციალიზებული ორგანიზაციები), ნატო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, წითელი ჯვარი, ბისეკი, სოკი, ოპეკი, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია.
მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> • მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო.
მსოფლიოს რეგიონები და ქვეყნები	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყნების (აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, სარ-ი, ავსტრალია, ბრაზილია, მექსიკა.) მდებარეობა, ბუნება, მმართველობის ფორმა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მოსახლეობა, მეურნეობა, ეკონომიკური ცენტრები და ეკონომიკური მაჩვენებლები, კულტურული მრავალფეროვნება; • რეგიონების დასახელება და შემავალი ქვეყნები, მდებარეობა და საზღვრები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა; • მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესები (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული); • საქართველო და მსოფლიო (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული ურთიერთობები).
4. საქართველოს გეოგრაფია:	
საქართველოსა და კავკასიის მდებარეობა	<ul style="list-style-type: none"> • საზღვრები, ფართობი, ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული დაყოფა, ადმინისტრაციული დაყოფა, მმართველობის ფორმა; • ევროპა-აზიის შორის საზღვრის გატარების ვერსიები;
საქართველოს ბუნების კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> • რელიეფის ძირითადი ფორმები და ტიპები; • ატმოსფეროს ცირკულაციის ძირითადი თავისებურებები; • ჰავის ძირითადი ელემენტები; • შიდა წყლები (მდინარეები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები, ჭაობები); • შავი ზღვა; • ფლორა და ფაუნა;

	<ul style="list-style-type: none"> • ტყის ფონდი; • ნიადაგის ტიპები და გეოგრაფია.
საქართველოს ბუნებრივი რესურსები	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს მნიშვნელოვანი რესურსების გეოგრაფია (სათბობ-ენერგეტიკული, შავი და ფერადი ლითონები, საშენი მასალები, მინერალური და თერმული წყლები).
გარემოსდაცვითი პრობლემები და სტიქიური მოვლენები	<ul style="list-style-type: none"> • ატმოსფეროს, წყლის და ნიადაგის დაბინძურება; • მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა.
ბუნების დაცვა	<ul style="list-style-type: none"> • დაცული ტერიტორიები, დაცული ტერიტორიების ტიპები, შექმნის მიზეზები და მიზნები, მნიშვნელობა და დაცვის განსაკუთრებული ობიექტები, წითელი წიგნი, წითელი ნუსხა.
საქართველოს მოსახლეობა	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის დინამიკა, ტერიტორიული განლაგება; • ქალაქებისა და სოფლების გეოგრაფია, ურბანიზაცია; • დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები; • მოსახლეობის სტრუქტურა (სქესობრივ-ასაკობრივი, ეთნიკური, რელიგიური).
საქართველოს მეურნეობა	<ul style="list-style-type: none"> • მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო.
საქართველოს რეგიონები	<ul style="list-style-type: none"> • თბილისი, კახეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, გურია, აჭარა, აფხაზეთი (მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა, ღირსშესანიშნაობები, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები).

დავალების ტიპების აღწერა

დავალების I ტიპი

- კითხვა არჩევითი პასუხებით

დავალების აღწერა - დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

დავალების პირობა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, მოცემულია მოკლე ან მეტ-ნაკლებად ვრცელი შეკითხვა, მოკლე ტექსტი, ფოტო, სურათი, სქემა, გრაფიკი ან დიაგრამა, სხვადასხვა სახის რუკა ან რუკის ფრაგმენტი და ა.შ.

დავალება ამოწმებს - ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, რუკებისა და სხვა თვალსაჩინოების ანალიზის, სასწავლო რესურსების გამოყენების უნარს. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

დავალების ნიმუში იხილეთ 2022 წლის გეოგრაფიის გამოცდის ტესტში.

დავალების II ტიპი

- **ღია დავალება**

დავალების აღწერა - დავალებაში მოცემულია სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია (ტექსტი, ფიზიკური რუკა, ტოპოგრაფიული რუკა, სურათი, ნახაზი, გრაფიკი, ცხრილი და სხვ.). მათი ანალიზის საფუძველზე აპლიკანტმა უნდა უპასუხოს მოცემულ კითხვებს. მოგეთხოვებათ მოცემული ინფორმაციის ტრანსფორმაცია (მაგ.; ცხრილის საშუალებით მოცემული ინფორმაციის გამოხატვა გრაფიკულად) და ანალიზი. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ ადგილზე (მაგ.; თუ დავალების პირობით მოთხოვნილი იქნება დიაგრამის ან გარფიკის აგება, მაშინ პასუხების ფურცელში მოცემული იქნება საკოორდინატო სისტემის მატრიცა, რომელზეც უნდა ააგოთ გრაფიკი/დიაგრამა).

დავალება ამოწმებს - ფაქტობრივი მასალის ცოდნის, ინფორმაციის გაგების, მისი ინტერპრეტაციის, სხვა და სხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირების, დასკვნების, პროგნოზირების გაკეთებისა და არგუმენტაციის უნარს.

მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის, გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების კითხვისა და შედგენის, მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების, მათ შორის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, მოვლენათა და პროცესთა შედარების უნარს; კონკრეტული გეოგრაფიული ამოცანების გადაჭრის; საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების; ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების; პროცესებისა და მოვლენების შეფასების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

რუკის კითხვას, რუკის ლეგენდის გამოყენებას, რუკის მეშვეობით ადგილზე ორიენტირებას, უმოკლესი ან ხელსაყრელი მარშრუტების განსაზღვრას; ადგილის დახასიათებას; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლების დადგენა/განსაზღვრას; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ინფორმაციის ანალიზს; რუკის მიხედვით კონკრეტული ამოცანების ამოხსნის უნარი. საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

დავალების ნიმუში იხილეთ 2022 წლის გეოგრაფიის გამოცდის ტესტში.

ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ. ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 59.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



- კითხვა არჩევითი პასუხებით

ინსტრუქცია


თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გასურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

- ღია დავალებები

ინსტრუქცია


ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ინფორმაციას, რუკებს (კონტურული, ფიზიკური და ტოპოგრაფიული) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(1) 1. რა ჰქვია ილუსტრაციაზე ნაჩვენებ დედამიწის საერთო სახის გამომხატველ წარმოდგენით ფიგურას?



- ა) ასტეროიდი;
- ბ) ელიფსოიდი;
- გ) პარაბოლოიდი;
- დ) გეოიდი.

(1) 2. კლიმატური სარტყლების რუკაზე რომელი ასოთია აღნიშნული ეკვატორული კლიმატური სარტყელი?





- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

(1) 3. ჩამოთვლილთაგან რომელი უდაბნო მდებარეობს სამხრეთ ნახევარსფეროში?




- ა) საჰარა;
- ბ) ატაკამა;
- გ) ყარაყუმი;
- დ) გობი.

(1) 4. რომელი ქალაქის კლიმატური დიაგრამაა მოცემული ილუსტრაციაზე?



- ა) კარაკასის;
- ბ) მანაუსის;
- გ) რიო-დე-ჟანეიროს;
- დ) სანტიაგოს.

(1) 5. რა ინფორმაციაა ასახული რუკაზე?



- ა) წყლის ზედაპირული ფენის საშუალო ტემპერატურა;
- ბ) წყლის ზედაპირული ფენის საშუალო მარილიანობა;
- გ) წყლის დონის რყევა მიქცევა-მოქცევის დროს;
- დ) ზედაპირული წყლის საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურების ხარისხი.

(1) 6. რომელი მდინარეების წყალგამყოფია ქართლის ქედი?

- ა) ლიახვისა და ქსნის;
- ბ) არაგვისა და ქსნის;
- გ) არაგვისა და იორის;
- დ) იორისა და ილტოს.

(1) 7. რომელმა ინვაზიურმა სახეობამ დააზიანა 2016 წელს თბილისის პლანტაციები დასავლეთ საქართველოში?



ა) მწვანე კუტკალიამ;



ბ) აზიურმა ფაროსანამ;




გ) კოლორადოს ხოჭომ;



დ) დიდმა ლაფანჭამიამ.

(1) 8. გაანალიზეთ დიაგრამა და განსაზღვრეთ, რის იმპორტს ასახავს მოცემული დიაგრამა?

იმპორტი საქართველოში



- ა) რკინის მადნის;
- ბ) ბუნებრივი აირის;
- გ) ელექტროენერჯის;
- დ) ნედლი ნავთობის.

(1) 9. რომელია მცდარი მსჯელობა კავკასიის შესახებ?

- ა) ყუმა-მანიჩის ღრმული რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი კლიმატური ბარიერის როლს თამაშობს;
- ბ) კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი რეგიონს სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებად ჰყოფს;
- გ) საქართველოს არ აქვს დასრულებული საზღვრების დემარკაცია-დელიმიტაციის პროცესი აზერბაიჯანთან;
- დ) ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით კავკასიის ეკორეგიონი ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეულია.

(1) 10. რომელმა წყალსატევმა განიცადა ეკოლოგიური კატასტროფა მას შემდეგ, რაც მასში ჩამდინარე ორი უდიდესი მდინარის წყლები ბამბის პლანტაციების მოსარწყავად გამოიყენეს?



- ა) არალის ზღვა;
- ბ) აზოვის ზღვა;
- გ) ისიქ-ქოლის ტბა;
- დ) ბალხაშის ტბა.

(1) 11. საქართველოს ეკონომიკის რომელმა დარგმა განიცადა უფრო მეტი ვარდნა 2020 წლის განმავლობაში?

- ა) კავშირგაბმულობამ;
- ბ) ენერგეტიკამ;
- გ) ტურიზმმა;
- დ) კვების მრეწველობამ.

(1) 12. კონტურულ რუკაზე დატანილი ევროპის ავტომაგისტრალის (E117) საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მონაკვეთის ნაწილი ემთხვევა:



- ა) საქართველოს სამხედრო გზას;
- ბ) საქართველოს საფოსტო გზას;
- გ) საქართველოს ევროპულ გზას;
- დ) საქართველოს აბრეშუმის გზას.

(1) 13. რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული სან-სანის მეგაპოლისის (მეგალოპოლისის) არეალი?



- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D


(1) 14. რა სახელით არის ცნობილი მსოფლიო მნიშვნელობის მაღალტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრი აშშ-ში, კალიფორნიის შტატში?

- ა) კრეატიული ზონა;
- ბ) სიკვდილის ველი;
- გ) შენგენის ზონა;
- დ) სილიკონის ველი.

(1) 15. რომელ კრიტერიუმს არ ითვალისწინებენ ადამიანური (ჰუმანური) განვითარების ინდექსის (HDI) გამოთვლისას?

- ა) მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე;
- ბ) სიცოცხლის მოსალოდნელ საშუალო ხანგრძლივობას;
- გ) სამომხმარებლო კალათის;
- დ) განათლების დონეს.

(1) 16. როგორი სახელმწიფოებია აღნიშნული რუკებზე წითელი ფერით?



- ა) ფედერაციული;
- ბ) მონარქიული მმართველობის;
- გ) უნიტარული;
- დ) რესპუბლიკური მმართველობის.

(1) 17. რომელ ქვეყანაში არ შეცვლილა პოლიტიკური სისტემა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ?

- ა) პოლონეთში;
- ბ) უნგრეთში;
- გ) ჩინეთში;
- დ) ბულგარეთში.

(5) 18 გაანალიზეთ რუკები და უპასუხეთ კითხვებს:

(1) 18.1. რომელია მ. მონბლანის გეოგრაფიულ კოორდინატები?



- ა) 45° ჩ.გ. და 6° დ.გ.
- ბ) 45° ჩ.გ. და 6° ა.გ.
- გ) 6° ს.გ. და 45° ა.გ.
- დ) 6° ს.გ. და 45° დ.გ.

(1) 18.2. რომელი უღელტეხილი აკავშირებს რაჭას და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას (რუსეთი)?



- ა) როკის;
- ბ) ჯვრის;
- გ) მამისონის;
- დ) გოდერძის.


(1) 18.3. რა მიმართულებით მდებარეობს ქ. დამასკოდან ქ. რეიკიავიკი, განსაზღვრეთ ჰორიზონტის მხარე?



(1) 18.4. რომელ კლიმატურ სარტყლებში მდებარეობს კ. მადაგასკარი?




(1) 18.5. რომელი საათი იქნება გრინვიჩის დროით, თუ ქ. ტოკიოში 21 საათია?




(5) 19. გაანალიზეთ ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტები და უპასუხეთ კითხვებს:

(1) 19.1. მოცემული წერტილებიდან რომელი მდებარეობს ზღვის დონიდან უფრო დაბლა?




- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D




- ა) ძირითადი პორიზონტალები
- ბ) ძირითადი გამსხვილებული პორიზონტალები
- გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორიზონტალები)
- დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
- ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)

(1) 19.2. დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მ. თეთრადან მ. კიჩო?




- ა) 35°
- ბ) 130°
- გ) 235°
- დ) 330°




- ა) ძირითადი პორიზონტალები
- ბ) ძირითადი გამსხვილებული პორიზონტალები
- გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორიზონტალები)
- დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
- ე) კალთის დახრის მანვენებლები (ბერგშტრიხები)

(1) 19.3. დაახლოებით რამდენია მ. გომის აბსოლუტური სიმაღლე?



- ა) 163,2 მ
- ბ) 166,8 მ
- გ) 171,4 მ
- დ) 173,6 მ




ძირითადი პორიზონტალები გავლებულია ყოველ 2.5 მეტრში

- ა) ძირითადი პორიზონტალები
- ბ) ძირითადი გამსხვილებული პორიზონტალები
- გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორიზონტალები)
- დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
- ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)


- ა) ძირითადი სიმაღლის ნიშნულები ბ) სიმაღლის ნიშნულები

(2) 19.4. დაასახელეთ მდ. სოთას რომელი სანაპიროა უფრო ნაკლებად ათვისებული? ახსენით ამის მიზეზი.



- ა) ძირითადი პორიზონტალები
 - ბ) ძირითადი გამსხვილებული პორიზონტალები
 - გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორიზონტალები)
 - დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
 - ე) კალთის დახრის მანვენებლები (ბერგშტრიხები)
- ა) ძირითადი სიმაღლის ნიშნულები
 - ბ) სიმაღლის ნიშნულები
- ქვიშნარი
 - გაუვალი და ძველადგასაუღელი ჭაობები (0.7-ჭაობის სიღრმე მ-ში)
 - ადვილადგასაუღელი ჭაობები
- საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები
 - გამორჩეულად ცუცხლგამძლე ნაგებობები
 - ცუცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით
 - არაცუცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით

(1) 20. წრიულ დიაგრამაზე ლათინური ასოებით აღნიშნულ სექტორებს ლეგენდაში მიუწერეთ სამხრეთ კავკასიის შესაბამისი სახელმწიფოს სახელწოდება?




- A-----
- B-----
- C-----

(1) 21. რომელი ორგანიზაციის სპეციალიზირებული დაწესებულებაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია?




(1) 22. რომელ ზღვაში არსებულ მდგომარეობას ასახავს მოცემული სქემა?




(1) 23. როგორი ტიპის ხეობის წარმოქმნის პროცესია ნაჩვენები ილუსტრაციაზე?


გამყინვარებამდე
პერიოდი





გამყინვარების
პერიოდი



გამყინვარების
შემდგომი პერიოდი



(2) 24. არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე მოიყვანეთ ორი არგუმენტი, რატომ არის ეკონომიკურად B ქვეყანა A ქვეყანასთან შედარებით მეტად განვითარებული.



(2) 25. დაასახელეთ ორი მთავარი მიზეზი, რომელთა გამოც ბრაზილიის დედაქალაქი 1960 წელს ქ. რიო-დე-ჟანეიროდან ქ. ბრაზილიაში გადაიტანეს?



(3) 26. გააანალიზეთ ფოტო და უპასუხეთ კითხვებს:



(1) 26.1. რომელ კონტინენტზეა გადაღებული ფოტო?

(1) 26.2. რომელი ბუნებრივი ზონაა ნაჩვენები წინა ხედზე?

(1) 26.3. რომელი მთა მოჩანს უკანა ხედზე?

(7) 27. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ 2020 წლიდან ძირეულად შეცვალა მსოფლიოს ყოველდღიური ცხოვრება. მან გავლენა მოახდინა ეკონომიკის ყველა სფეროზე, ზოგზე დადებითი, უმრავლესობაზე კი უარყოფითი კუთხით.




ფოტო.1.

ჰითროუს აეროპორტის ტერმინალ2


ნახ.1.

პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტში მგზავრთა ნაკადი (მლნ.კაცი)




ნახ.2.

ლონდონის ჰითროუს აეროპორტში მგზავრთა ნაკადი (მლნ.კაცი)




ნახ.3.


ლონდონის ჰითროუს აეროპორტში მგზავრთა ნაკადის დინამიკა თვეების მიხედვით 2018-2020 წლებში (მლნ.კაცი)



ნახ.4. ევროპის რამდენიმე უმსხვილეს აეროპორტში ავიარეისების რაოდენობის პროცენტული ვარდნა 2020 წლის იანვარ-ოქტომბერში




ნახ.5. ლონდონის ჰითროუს აეროპორტის 2020 წლის შედეგები



- (1) 27.1. მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, 2020 წლის რომელი სამი თვის განმავლობაში იყო ყველაზე მკაცრი ლოკდაუნი (ჩაკეტვა) გაერთიანებულ სამეფოში?
- (1) 27.2. ახსენით, ნახ.4-ზე მოყვანილი 6 ქალაქის აეროპორტიდან, რატომ შემცირდა უფრო მეტად ავიარეისები პალმა დე მალიორკას, რომისა და ბარსელონას აეროპორტში, ვიდრე ამსტერდამის, ლონდონისა და ფრანკფურტის აეროპორტებში.
- (2) 27.3. სად უფრო დიდი პროცენტული ვარდნა განიცადა მგზავრთა ნაკადმა 2020 წელს წინა წელთან შედარებით, პარიზის თუ ლონდონის აეროპორტში? რამდენი პროცენტი შეადგინა ვარდნამ?
- (2) 27.4. რომელ სეზონზე მოდიოდა მგზავრთა გადაყვანის პიკი ჰითროუს აეროპორტში პანდემიამდე? რა ფაქტორი განაპირობებს ამ გარემოებას?
- (1) 27.5. რით ახსნით ნახ.5-ზე მოცემულ ინფორმაციას, რომ მგზავრთა რაოდენობა შემცირდა 72,7%-ით, ხოლო რეისების რაოდენობა 57,8%-ით?

(14) 28. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, მისი ფართობია 6413 კმ² და 6 მუნიციპალიტეტს მოიცავს. მხარის ტერიტორიის დიდი ნაწილი ზღ. დ. 1000-2000 მეტრზე მდებარე ვულკანურ ზეგნებსა და პლატოებს უკავია, ასევე წარმოდგენილია მდინარეების ვიწრო ხეობებით დანაწევრებული ქვაბულები, აქ მდებარეობს ე. წ. საქართველოს დიდი ტბების მხარეც.



	მოსახლეობის რაოდენობა 2021 წელი (ათასი კაცი)		
	სულ	ქალაქი	სოფელი
საქართველო	3728.6	2215.6	1512.9
სამცხე-ჯავახეთი	151.1	54.2	96.9



სამცხე-ჯავახეთის სასარგებლო წიაღისეული

საწვავი წიაღისეული:

მურა ნახშირი

არალითონური წიაღისეული:

ბენტონიტური თიხა

დიატომიტი

აქატი

პერლიტი

სამშენებლო მასალები:

თაბაშირი


მოსაპირკეთებელი მასალები:


მარმარილო

ბაზალტი


ანდეზიტი


ობსიდიანი
(ვულკანური მინა) პემზა





(1) 28.1. რომელი დიაგრამა ასახავს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურას?





(1) 28.2. რომელი ადგილის ჰავის მახასიათებლებს ასახავს დავალებაში მოცემული კლიმატური დიაგრამა?

ა) ქ. ბორჯომის; ბ) ფარავნის ტბის; გ) მ. დიდი აბულის; დ) ქ. ახალციხის.

(1) 28.3. გამოთვალეთ, რას უტოლდება კლიმატურ დიაგრამაზე მოცემული ადგილის ჰაერის საშუალო ტემპერატურა ზამთარში (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი).

(1) 28.4. დაასახელეთ სამცხე-ჯავახეთის მხარეში შემავალი ყველა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია.

(2) 28.5. გამოთვალეთ, დაახლოებით რას უტოლდებოდა 2021 წლის 1 იანვრისათვის სამცხე-ჯავახეთის მხარის ურბანიზაციის დონე (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი). შეადარეთ ეს მაჩვენებელი ქვეყნის ურბანიზაციის დონეს (მასზე მაღალია თუ დაბალი).

(3) 28.6. გამოთვალეთ, დაახლოებით რას უტოლდებოდა 2021 წლის 1 იანვრისათვის სამცხე-ჯავახეთის მხარის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი), შეადარეთ ეს მაჩვენებელი ქვეყნის საშუალო სიმჭიდროვეს (მასზე მაღალია თუ დაბალი). დაასახელეთ ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მხარეში საშუალო სიმჭიდროვის ასეთ მაჩვენებელს.

(1) 28.7. გამოთვალეთ, რას უტოლდებოდა 2021 წელს სამცხე-ჯავახეთის მხარის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი).

- (1) **28.8.** რომელი ბუნებრივი რესურსიდან წარმოებული პროდუქციით არის განთქმული სამცხე-ჯავახეთის მხარე მსოფლიოში?
- (2) **28.9.** სამცხე-ჯავახეთის მხარის რომელ მუნიციპალიტეტში იქმნებოდა მრეწველობაში ყველაზე მეტი ღირებულების პროდუქცია 2002 წელს და რომელ დარგზე მოდიოდა იგი?
- (1) **28.10.** სამცხე-ჯავახეთის რომელ მუნიციპალიტეტში იყო 2002 წელს მრეწველობის ყველაზე მრავალფეროვანი სტრუქტურა?

დავადგენის #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
1	დ	1
2	დ	1
3	ბ	1
4	დ	1
5	ბ	1
6	ბ	1
7	ბ	1
8	ბ	1
9	ა	1
10	ა	1
11	ბ	1
12	ა	1
13	ბ	1
14	დ	1
15	ბ	1
16	ბ	1
17	ბ	1
18.1	ბ	1
18.2	ბ	1

დავადგენის #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
18.3	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული ჰორიზონტის მხარის მიმართულება ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> ქ. დამასკოდან ქ. რეიკიავიკი მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.</p>	1
18.4	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • მხოლოდ სწორად დასახელებული ორივე კლიმატური სარტყელი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> სუბტროპულში და ტროპიკულში.</p>	1
18.5	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული დრო ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> გრინვიჩის დროით იქნება 12 საათი.</p>	1
19.1	დ	1
19.2	ზ	1
19.3	დ	1

დავადგენის #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
19.4	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული სანაპირო ფასდება 1 ქულით; • მხოლოდ სწორად დასახელებული სანაპიროსთვის მითითებული მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით; <p>დავალების მაქსიმალური ქულაა - 2.</p> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ნაკლებად ათვისებულია მარცხენა (1 ქ.); ✓ რადგან დაჭაობებულია (1 ქ.). 	2
20	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • ზედმიწევნით ზუსტად შევსებული ლეგენდა ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხი ნიმუში:</u></p> <p>A-საქართველო B-სომხეთი C-აზერბაიჯანი</p>	1
21	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული ორგანიზაცია ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>გაერო.</p>	1

დავადგენის #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
22	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული ზღვა ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> შავ ზღვაში არსებულ მდგომარეობას.</p>	1
23	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> ტროგული ხეობა.</p>	1
24	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად მოყვანილი თითოეული არგუმენტი ფასდება 1 ქულით; დავალების მაქსიმალური ქულაა - 2. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ✓ რადგან B ქვეყანაში აგრარული სექტორის წილი ეკონომიკაში ბევრად დაბალია (1 ქ.); ✓ რადგან B ქვეყანა მსოფლიოში წამყვან პოზიციაზეა (მე-16 ადგილი) მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მაჩვენებლით (1 ქ.). 	2

დავალებების #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
25	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული თითოეული მიზეზი ფასდება 1 ქულით; დავალების მაქსიმალური ქულაა - 2. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სამხედრო უსაფრთხოების მიზნით მიიღეს გადაწყვეტილება ზღვის სანაპიროდან მოშორებით გადაეტანათ დედაქალაქი ქვეყნის სიღრმეში (1 ქ.); ✓ რათა ქვეყნის შიდა რეგიონებისთვის მიეცათ ეკონომიკური განვითარების ბიძგი (1 ქ.). 	2
26.1	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული კონტინენტი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>აფრიკა.</p>	1
26.2	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული ბუნებრივი ზონა ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>სავანა.</p>	1

დავადგენის #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
26.3	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული მწვერვალი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> კილიმანჯარო.</p>	1
27.1	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • მხოლოდ სწორად დასახელებული სამი თვე ფასდება 1 ქულით; <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> აპრილი, მაისი, ივნისი.</p>	1
27.2	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> პალმა დე მალიორკას, რომისა და ბარსელონას აეროპორტები ძირითადად ტურისტებს ემსახურება, ხოლო ეს სფერო ყველაზე მეტად დაზარალდა კოვიდ 19-ის რეგულაციების შედეგად.</p>	1

დავალების #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
27.3	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული აეროპორტი/ქალაქი ფასდება 1 ქულით; • სწორად დასახელებული პროცენტი ფასდება 1 ქულით; • დავალების ჯამური ქულაა - 2. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ლონდონის აეროპორტში (1 ქ.); ✓ 72.7% (1 ქ.). 	2
27.4	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული სეზონი ფასდება 1 ქულით; • მხოლოდ სწორად დასახელებული სეზონისთვის მოცემული ახსნა ფასდება 1 ქულით; <p>დავალების მაქსიმალური ქულაა - 2.</p> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ზაფხული (1 ქ.); ✓ რადგან ამ დროს შევებულეებებისა და არდადეგების პერიოდია (1 ქ.). 	2
27.5	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>თვითმფრინავები მგ ზავრების ნაკლები დატვირთვით დაფრინავდნენ.</p>	1

დავალების #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
28.1	დ	1
28.2	ზ	1
28.3	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • სწორად ნაჩვენები გამოთვლის პროცესი სწორი პასუხით ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> $(-7.4+(-9.7)+(-8)) / 3 = -8.36^{\circ}\text{C}$</p>	1
28.4	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული სამივე ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> სამცხე, ჯავახეთი და თორი.</p>	1
28.5	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად ნაჩვენები გამოთვლის პროცესი სწორი პასუხით ფასდება 1 ქულით; • სწორი შედარება ფასდება 1 ქულით; <p>დავალების მაქსიმალური ქულაა - 2.</p> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ✓ $54.2 \cdot 100 / 151.1 = 35.87\%$ (1 ქ.); ✓ მხარეში ურბანიზაციის დონის მაჩვენებელი საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით დაბალია (1 ქ.). 	2

დავალების #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
28.6	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად ნაჩვენები გამოთვლის პროცესი სწორი პასუხით ფასდება 1 ქულით; • სწორი შედარება ფასდება 1 ქულით; • სწორად დასახელებული ფაქტორი ფასდება 1 ქულით; <p>დავალების მაქსიმალური ქულაა - 3.</p> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ✓ $151\ 100:6413=23.56$ კაცი/კმ² (1 ქ.); ✓ მხარეში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის მაჩვენებელი საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით დაბალია (1 ქ.). ✓ რადგან მხარის ტერიტორიის დიდი ნაწილი ხასიათდება მკაცრი კლიმატური პირობებით (1 ქ.); 	3
28.7	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • სწორად ნაჩვენები გამოთვლის პროცესი სწორი პასუხით ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>$12.5-X=-1; X=12.5+1=13.6\%$.</p>	1
28.8	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • ბუნებრივის რესურსიდან წარმოებული სწორად დასახელებული პროდუქცია ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>ბორჯომის მინერალური წყალი.</p>	1

დავადგენის #	გეოგრაფიის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა	ქულა
28.9	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული მუნიციპალიტეტი ფასდება 1 ქულით; • სწორად დასახელებული მრეწველობის დარგი ფასდება 1 ქულით; <p>დავალების მაქსიმალური ქულაა - 2.</p> <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ბორჯომის (1 ქ.); ✓ ხე-ტყის მრეწველობა (1 ქ.). 	2
28.10	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ან პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული მუნიციპალიტეტი ფასდება 1 ქულით. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>ახალციხის მუნიციპალიტეტში.</p>	1